ოქმი:**ო08.37220771**
თარიღი:**18/03/2022**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 17 მარტი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. ჩავლეშვილი, ალ. ბურჭულაძე, ბ. კილაძე, ლ. კილაძე, პ. კიღურაძე, ალ. ღლონტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი:დ.გორდელაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი:გ.მამაკაიშვილი

3. სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის გარეშე

სხდომის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, ვრცელი მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა თანამომხსენებელმა დ. გორდელაძემ. შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს ანგარიში მიეღოთ ცნობად და წარდგენილი იყოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე.

დ.ჭაკნელიძემ მეორე საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განიხილება მუნიციპალიტეტის აქტუალური დოკუმენტი-2021 წლის ბიუჯეტის შესრულების

ანგარიში და სიტყვა მოხსენებისათვის გადასცა თანამომხსენებელს გ. მამაკაიშვილს. მოხსენების მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც დარგობრივად შეეხებოდა კომისიას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს ანგარიში მიეღოთ ცნობად და წარდგენილი იყოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული განკარგულებს პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი ოთხივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე N 1 და 3-ე განხილვისა და ცნობად მიღების, ხოლო N 2, N 4 საკითხები განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე